



ბრძანება N 293

„13“ 12 2016 წელი

მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 51-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 52-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N72 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის შეფასების წესის“ მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2016 წლის 06 დეკემბრის N1452627 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსების ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 16 ივნისი.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6. 0131).

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი